სასწავლო პროექტი

ექსკურსია

ვინ დაწერა დედაენა

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბება; მისი აუცილებელი ცოდნით აღჭურვა და მათში კულტურულ ფასეულობათა პატივისცემის გრძნობის გაღვივება. ამ მიზნის მისაღწევად დავგეგმე სასწავლო ექსკურსია იაკობ გოგებაშვილის სახლ- მუზეუმში.

პროექტის სახელწოდება:
ვინ დაწერა დედაენა
ექსკურსიის მიმართულება
თბილისი (მე-12 საჯარო სკოლა) **- ვარიანი** (გორის მუნიციპ.) **-თბილისი** (მე-12 საჯარო სკოლა)
ექსკურსიის თარიღი
1 ოქტომბერი, 2023 წელი
მოსწავლეთა რაოდენობა
27
მოსწავლეთა ასაკი
6-7
მოწვეული სტუმრები:
ანიმატორები
ტრანსპორტი
ტურისტული ავტობუსი ნომრით AM 151MA
მძღოლი
შოთა ლომიძე
ექსკურსიის მიზანი:
• მოსწავლეებმა სკოლა აღიქვან საინტერესო და მრავალმხრივი განვითარების გარემოდ, გახალისდნენ, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, დამეგობრდნენ. • შეიმეცნონ ნანახი და გადმოცემული, გამოუმუშავდეთ ყურადღებით მოსმენის უნარი. • მოსწავლეთა მშობლებს მივცეთ საშუალება რომ დამეგობრდნენ ერთმანეთან და ზრუნავდნენ ერთმანეთზე.
ექსკურსიის ამოცანა
• იაკობ გოგებაშვილზე ინფორმაციების შეგროვება • გაკვეთილის დაგეგმვა: რა ვიცოდი, რა გავიგე და რის გაგებას შევძლებ...

რ ე ფ ლ ე ქ ს ი ა

დედაენის უკეთ გაცნობის მიზნით, შევიმუშავე პროექტი და დავგეგმე ექსკურსია ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში. შეთანხმება მოხდა მოსწავლეების მშობლებთან, სკოლის დირექციასთან და გაფორრმდა შესაბამისი დოკუმენტაცია მძღოლთან.

2022 წლის 1 ოქტომბერს დილის 10 საათზე, ავტობუსი ბავშვებს სკოლასთან ელოდებოდა. მშობლების ინიციატივით, გართობის მიზნით, წამოყვანილი იქნა 2 ანიმატორი.

სიით მერიცხებოდა 27 მოსწავლე, მაგრამ არ გამოცხადდა 3 მოსწავლე, მათ შორის, ერთი სსსმ მოსწავლეა. დანარჩენ 24 მოსწავლეს, ყველას ახლდა მშობელი.

ანიმატორებმა გართობა მგზავრობის პერიოდშივე დაიწყეს. ისინი მღეროდნენ და ყვებოდნენ სახალისო ისტორიებს. დაახლოებით 2 საათში უკვე ვარიანში ვიყავით. სახლ-მუზეუმში დავიქირავეთ გიდი, რომელმაც ბავშვებს იაკობის ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებზე ისაუბრა. ბავშვები ყურადღებით უსმენდნენ და გაფაციცებით ათვალიერებდნენ ყველაფერს. მათ განსაკუთრებით მოეწონათ სამოვარი და საძინებლის კარადა. აღფრთოვანება გამოხატეს იაკობის საკლასო ოთახზე და ძველებურ მერხებზე. დაათვალიერეს დედაენის სხვადასხვა გამოცემები და ბუნების კარი. შემდეგ მარანში ჩავედით. გაოცებულნი იყვნენ, როცა საწნახელი დაინახეს. ვერც კი წარმოედგინათ, როგორ შეიძლებოდა იქ ყურძნის დაწურვა. მოსწავლეებმა ამ ექსკურსიით გარკვეული წარმოდგენა შეიქმნეს იაკობ გოგებაშვილზე და მის წარსულზე,

მუზეუმიდან გამოსვლის შემდეგ, მძღოლმა სპეციალურად ბავსვებისთვის მოწყობილ საპიკნიკე ოედანზე მიგვიყვანა, სადაც ძალიან გაიხარეს ბავშვებმა და მათმა მშობლებმა. ანმატორებმა არ დაზოგეს ძალა და ენერგია, რომ ბავსვების ის უნარები გამოეჩინათ, როგორიცაა სიმღერა, ცეკვა და მხატვრული კითხვა.

ექსკურსიიდან დაბრუნების შემდეგ აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და სხვა მოსწავლეებს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებს.

ამ ექსკურსიით მოსწავლეებმა გარდა იმისა, რომ შეიძინეს გარკვეული ცოდნა იაკობ გოგებაშვილის შესახებ , გაუჩნდათ ერთმანეთის მიმართ პატივისცემა, ზრუნვა და სიყვარული. დაიწყეს მეგობრული ურთიერთობები.

ვფიქრობ, ახლო მომავალში დავგეგმო ექსკურსია მთაწმინდის პანთეონში და დედაენის პარკში.

დავგეგმო გაკვეთილი რა ვიცოდი, რა გავიგე და რა მაინტერესებს კიდევ... გავაკეთო სახალისო სლაიდ შოუ, სადაც უნდა ამოეცნონ, სად ნახეს ესა თუ ის ნივთი ან რა იციან მის შესახებ.

მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა გამოხატეს მზაობა და გამოთქვეს სურვილი, რომ მომავალშიც მოეწყოს მსგავსი ღონისძიებები. ექსკურსია ხომ შესანისნავი საშუალებაა კომუნიკაციის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის.

იხილეთ შესაბამისი ფოტოები:

(მათი გამოყენებისთვის მაქვს მშობლების თანხმობა)